



ოქმი:ო37.37210561

თარიღი:25/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტ. აროშიძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმი**

2021 წელი, 24 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

13.30-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია -საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ლურჯუმელიძე.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, პირდაპირი ტრანსლაციით, განაცხადა, რომ ტ. აროშიძე არის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ტ. აროშიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, კონკრეტის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოფლის მიდა გზების რეაბილიტაცია, რომელსაც მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ლურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ტ. აროშიძე არის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, გამოთქვამს აზრს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომ გადასაწყვეტ პრობლემებზე, ფრაქცია მისი ხელმძღვანელობით გახდა ბევრი საინტერესო ინიციატივის ავტორი, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

